



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



3324/3-125/22 2 12042022

3324/3-125/22

12-04-2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია :

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ითხვისში მანგანუმის გავრცელების არეალი და მანგანუმის მოპოვების მაღაროთა სქემა, ხაზობრივი ფენა (1950 წლიდან დღემდე). ე.წ. ანთროპოგენული მეწყრების საფრთხის ზონის დასადგენად. კოორდინატები : x_363037 y_4680768; x_365596 y_4682254; x_363739 y_46859998; x_361707 y_4684404;
2. ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მოპოვებისთვის დადებული 5 წლიანი ლიცენზიის ხელშეკრულება, სახელმწიფოსა და კომპანია „Georgian Manganese“ შორის.
3. ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მოპოვებით დაზარალებული მოსახელობისთვის კომპენსაციის დადგენის და გაცემის პირობები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია



KA020194559726922

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 04/2725

21 / აპრილი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ იაგო ხვიჩიას

ბატონო იაგო,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემოსული თქვენი 2022 წლის 12 აპრილის N 3324/3-125/22 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მოპოვებით საქმიანობას, გაცნობებთ შემდეგს:

წერილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, დანართით გეგზავნებათ 1:50 000 მასშტაბის აეროფოტო, რომელიც ასახავს წარმოდგენილი კოორდინატების ფარგლებში სსიპ - „მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში“ არსებულ ინფორმაციას. ამასთან, მანგანუმის მოპოვების მაღაროთა სქემა არ წარმოადგენს აღნიშნულ სააგენტოში დაცული დოკუმენტაციის კატეგორიას;

რაც შეეხება წერილის მეორე პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტს, კერძოდ, სახელმწიფოსა და კომპანიას შორის მანგანუმის მოპოვებისთვის დადებულ ხელშეკრულებას, აღნიშნულის თაობაზე სააგენტო ინფორმაციას არ ფლობს;

წერილის მესამე პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საკითხი საჭიროებს შესწავლას და შემდგომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით დარეგულირებას, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ჩართულობით.

ამასთან, დასმულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით, დანართის სახით წარმოგიდგენთ სსიპ - „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა“ და სსიპ - „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ წერილებს.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელმმართველად

ლევან დავითაშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო



KA020188391183622

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 32 2 95 00 30

22/2325

15 / აპრილი / 2022 წ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ენუქიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 12 აპრილის #04/2443 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრის, იაგო ხვიჩიას სადეპუტატო შეკითხვას (N 3324/3-125/22; 12/04/2022), ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მოპოვებით საქმიანობასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს: წერილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, გეგმავნებათ 1:50 000 მასშტაბის აეროფოტო, რომელიც ასახავს წარმოდგენილი კოორდინატების ფარგლებში სააგენტოში არსებულ ინფორმაციას (იხ. დანართი). ამასთან, მანგანუმის მოპოვების მაღაროთა სქემა არ წარმოადგენს სააგენტოში დაცული დოკუმენტაციის კატეგორიას.

რაც შეეხება წერილის მეორე პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტს, კერძოდ, სახელმწიფოსა და კომპანიას შორის მანგანუმის მოპოვებისთვის დადებულ ხელშეკრულებას, აღნიშნულის თაობაზე სააგენტო ინფორმაციას არ ფლობს.

წერილის მესამე პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ იმ შემთხვევაში თუ დადგინდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების წარმოების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, აღნიშნული გადაწყდება ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი ნორმების მიხედვით, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ჩართულობით.

პატივისცემით,

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდამსულია
ელექტრონულად



ანდრო ასლანიშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაია ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32



KA020121063237122

№ 03/419

19 / აპრილი / 2022 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო ენუქიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2022 წლის 15 აპრილის N611 (2022 წლის 15 აპრილის N04/2540) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს კანონის - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ და „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილებით გათვალისწინებული წესით ახორციელებს:

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას;

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემას, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას და მშენებლობადასრულებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას;

- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემას.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებაში დასმული საკითხები სცილდება სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებს.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერა/
შტამგადასმულია
ელექტრონულად



გიორგი გევაძე